ლამარა ბერიძე
ეკონომიკის დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის
აფილირებული პროფესორი

ზურაბ კუჭავა
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ტურიზმის განვითარების რეგიონული პოლიტიკის საკითხები

ანოტაცია

ტურიზმის დარგში არსებული გამოწვევებია: ადამიანისეული რესურსების კვალიფიკაცია და გამოცდილება; ცალკეული რეგიონის (მუნიციპალიტეტის) ტურისტული პოტენციალის შესწავლა და შეფასება; სისტემური მიდგომის გაძლიერება, რაც გულისხმობს ტურიზმის განხილვას რეგიონის სოციალურ – ეკონომიკური განვითარების ერთიან კომპლექსში; სახელმწიფო მხარდაჭერის (ფინანსური, საინფორმაციო, კონსალტინგური, მარკეტინგული) ქმედითი მექანიზმების დანერგვა და სხვა.
აუცილებელია პროგრამული მიდგომით შემუშავებულ იქნას ღონისძიებათა სისტემა, სადაც გამოიყოფა: ნორმატიულ-სამართლებრივი გარემო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რეკლამირება და ინფორმაციული უზრუნველყოფა. ტურიზმის ბიზნესის განვითარების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს სისტემური ანალიზის შედეგად შემუშავებულ ინდიკატური დაგეგმვისა და პროგნოზირების თანამედროვე მეთოდებს, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს.
ტურიზმის სფეროს სათანადო კადრების მომზადება რეგიონებში დაკავშირებულია პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის შექმნასთან. უნდა მომზადდეს სასწავლო-მეთოდური ბაზა რეგიონის ტურისტული პროფილის გათვალისწინებით.
ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებს შორის ტურისტული ინდუსტრიის სფეროში. მხარდაჭერას საჭიროებს ტურიზმის აქტორთა ინტეგრაციის პროცესები და მოცემული დარგისადმი კლასტერული მიდგომა. კანონით დადგენილ უნდა იქნას თანამშრომლობის ფორმები. შესაბამისი ცვლილებები უნდა განხორციელდეს კანონმდებლობებსა და სამთავრობო დადგენილებებში მუნიციპალიტეტთაშორისი თანამშრომლობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმის რეგიონული პროგრამა; რეკრეაციული რესურსები; ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა; საინვესტიციო პასპორტი.

საქართველოში ტურიზმის მდგრადი და ეფექტიანი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია მაქსიმალურად იქნას ამოქმედებული რეგიონებში არსებული რეკრეაციული რესურსები.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ რეგიონებში შეინიშნება ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი რიგი ფაქტორები, როგორიცაა:

– **სათანადო სპეციალისტების დეფიციტი;**

- **არასაკმარისი ინფორმაცია რეკრეაციული ბაზის შესახებ.** ინფორმაცია ტურისტული პოტენციალის შესახებ გაბნეულია სხვადასხვა უწყებრივ დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების მიხედვით;

- **რეგიონული ტურიზმის განვითარებისადმი არასათანადო სისტემური მიდგომა.** ტერიტორიული (რეგიონული და მუნიციპალური) განვითარებისა და მოწყობის გენერალური გეგმების არარსებობა. ტერიტორიის ათვისების უწყებრივი გეგმები, როგორც წესი, არ ითვალისწინებს გეგმარებით შეზღუდვებს. ეს, პირველ რიგში, ეხება იმ ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობაც ხასიათდება ნაკლები საჯაროობით და ხლმისაწვდომობით (თავდაცვის, გეოლოგიური დაწესებულებები და სხვა სამსახურები);

- **გამოცდილების ნაკლებობიდან გამომდინარე, მენეჯმენტის დაბალეფექტიანობა;**

- **რეგიონებში ტურიზმის განვითარების მიმართ სახელმწიფო მხარდაჭერის (ფინანსური, საინფორმაციო, კონსალტინგური, მარკეტინგული) ნაკლებადქმედითი მექანიზმები და სხვა.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია მიღებულ იქნას გადაწყვეტილებები და გატარდეს ზომები წინასაპროექტო კვლევების ჩატარების, დაგეგმვის, გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის მოთხოვნების გათვალისწინების, ცალკეული ტურისტული ობიექტების მიხედვით სარეაბილიტაციო პროექტების შემუშავების მიმართულებით. ეს განაპირობებს რიგი ღონისძიებების გატარების აუცილებლობას, როგორიცაა: დაგეგმარებითი ხასიათის სამუშაოები, მათ შორის ქალაქმშენებლობის, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური დაგეგმვა და საპროექტო სამუშაოები ტურისტული კომპლექსის ძირითადი სტრუქტურული კვანძების მიხედვით; საპროექტო სამუშაოები არსებული კონკრეტული ტურისტული ობიექტების მიხედვით და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ ტურიზმის განვითარების რეგიონული პროგრამების შემუშავებაზე. როგორც ჩვენს წინა ნაშრომში[1] აღვნიშნავდით:

„ტურიზმის განვითარების რეგიონული პროგრამა მიზანშეწონილია შემუშავდეს შემდეგი თანმიმდევრული სტრუქტურული განყოფილებების მიხედვით:

- პროგრამის არსი და მისი შემუშავების აუცილებლობის დასაბუთება;
- პროგრამის ძირითადი მიზანი და ამოცანები, მისი რეალიზაციის ეტაპები და ვადები;
– პროგრამული ღონისძიებების სისტემა;
- პროგრამის რესურსული უზრუნველყოფა;
- პროგრამის რეალიზაციის მექანიზმი;
- პროგრამის მართვის ორგანიზაცია და მისი შესრულების მონიტორინგი;
- ეფექტიანობის შეფასება, პროგრამის რეალიზაციის სოციალურ-ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა შედეგები.

მნიშვნელოვანია რეგიონში ტურიზმის განვითარების პრობლემების პროგრამული მეთოდით გადაწყვეტის აუცილებლობის დასაბუთება, კერძოდ: უნდა ვაჩვენოთ, რომ მოცემული პრობლემის ხასიათი შეესაბამება პროგრამული მეთოდით გადაწყვეტის კრიტერიუმებს, რომ პროგრამული მიდგომა ყველაზე მეტად უზრუნველყოფს საერთოსახელმწიფო, რეგიონული და ადგილობრივი პოლიტიკის მიზნების მიღწევას ტურიზმის განვითარების სფეროში; პრობლემის აქტუალურობა

[1] კ. ხმალაძე, ლ. ბერიძე. ტურიზმის განვითარების რეგიონული პროგრამის შედგენის მექანიზმი და სტრუქტურა. `ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი.~ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. გამომცემლობა `უნივერსალი~, თბილისი, 2010, გვ.5-8.

და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა; მოცემული პრობლემის გადაწყვეტის შეუძლებლობა მოქმედი საბაზრო მექანიზმის პირობებში; გადასაწყვეტი პრობლემის მრავალასპექტიანობა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოთა საქმიანობის კოორდინაციის აუცილებლობა.

პროგრამის ძირითადი მიზანია, რეგიონში თანამედროვე მაღალეფექტიანი და კონკურენტუნარიანი ტურისტული კომპლექსის ჩამოყალიბება, რომელიც შექმნის, ერთი მხრივ, რეგიონის, საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეთა ტურისტულ მომსახურებაზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფართო შესაძლებლობებს, ხოლო, მეორე მხრივ, წვლილს შეიტანს რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში ბიუჯეტში შენატანების, უცხოური ვალუტის მოდინების, სამუშაო ადგილების გაზრდის, ბუნებრივ-რეკრეაციული და კულტურულ-ისტორიული პოტენციალის შენარჩუნებისა და გადიდების სახით.

მთავარი მიზნის მიღწევა შესაძლებელია გამოხატულ იქნას შესაბამის მაჩვენებელთა სისტემის სახით:

- რეგიონის, საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეთა ტურისტული მომსახურების მოცულობა;
- საგადასახადო შენატანების მოცულობა ადგილობრივ ბიუჯეტში (სახელმწიფო ბიუჯეტში) ტურისტული ორგანიზაციების, აგრეთვე, ტურიზმთან დაკავშირებული საწარმოების საქმიანობებიდან;
- რეგიონული შრომის ბაზრის მაჩვენებლების დინამიკა, რაც დაკავშირებულია, როგორც უშუალოდ ტურისტული დარგის განვითარებასთან, ისე იმ დარგებთან, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ტურიზმის განვითარების დონესა და მოთხოვნებზე;
- მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ რეგიონის ბუნებრივ-რეკრეაციული და კულტურულ-ისტორიული პოტენციალის მდგომარეობას.

ტურიზმის განვითარების მუნიციპალური პროგრამის საფუძველია სამეცნიერო-კვლევით, სოციალურ-ეკონომიკურ, საწარმოო, სამეურნეო-ორგანიზაციულ დასხვაურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა სისტემა. ისინი მოიცავენ სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ტურიზმის სფეროში. ღონისძიებები უნდა გაიწეროს სათანადო რესურსების, შემსრულებლების და შესრულების ვადების მიხედვით. პროგრამული ღონისძიებები მოიცავს:

1) ნორმატიულ-სამართლებრივი სფერო. რეგიონში ტურიზმის განვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფის სამუშაოებმა უნდა მოიცვას: ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის მიერ შეთანხმების გაფორმება ტურიზმის საკითხებით დაკავებულ ცენტრალურ უწყებასთან თანამშრომლობის შესახებ;

2) ტურისტული საქმიანობის ორგანიზაცია და ტურიზმის განვითარების მართვა. სამუშაოებმა ტურისტული საქმიანობის ორგანიზაციასა და ტურიზმის მართვის სფეროში უნდა მოიცვას: ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იქნება ზემოაღნიშნული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების რეალიზაციისაკენ, პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის მუშაობის უზრუნველსაყოფად; ტურისტული მომსახურების სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ღონისძიებები; ტურისტული საქმიანობის ლიცენზირება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე და მისი მონაწილე ფირმების რეგიონული რეესტრის შემოღება; მოცემულ ტერიტორიაზე ტურიზმის სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ღონისძიებათა რეალიზაცია; მონაწილეობა ტურისტული გამოფენების, კონგრესებისა და თათბირების მოწყობისა და ჩატარების ორგანიზებაში; პროგრამის სრულყოფის ღონისძიებათა სისტემის დამუშავება.

3) ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები. ეს გულისხმობს წინადადებების დამუშავებას ტურისტული ობიექტების რეკონსტრუქციისა და მშენებლობის არასაბიუჯეტო წყაროების ხარჯზე დაფინანსების მექანიზმების შესახებ, აგრეთვე, ხელშეწყობას ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარების საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის სფეროში.

4) სამამულო ტურისტული პროდუქტის შიდა და საგარეო ბაზარზე გასვლის სარეკლამო-

საინფორმაციო უზრუნველყოფა. იგი მოიცავს: ინფორმაციული და სარეკლამო მასალების მომზადება რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ; მონაწილეობა საერთაშორისო და სამამულო ტურისტულ გამოფენებში; მონაცემთა საინფორმაციო ბანკის შექმნა რეგიონის ტურისტული რესურსებისა და ტურისტული ინდუსტრიის შესახებ; სარეკლამო კომპანიის ჩატარება საერთაშორისო და სამამულო პრესაში, რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციის მიზნით.

5) ტურიზმის განვითარების ადამიანისეული რესურსების ფორმირება. რეგიონში ტურიზმის განვითარების საკადრო უზრუნველყოფის საკითხების გადაწყვეტა მოითხოვს: მეცნიერულად დასაბუთებული პროგნოზის შემუშავება ტურისტული ინდუსტრიის სპეციალისტებზე მოთხოვნილების შესახებ; სასწავლო პროგრამებისა და მეთოდური მასალების დამუშავება ტურისტული კადრების მომზადებისა და გადამზადების უწყვეტი სისტემის უზრუნველსაყოფად, რეგიონის ტურისტული ინდუსტრიის სპეციფიკის გათვალისწინებით; სპეციალიზებული სასწავლო და პედაგოგების მოსამზადებელი დაწესებულებების ქსელის ჩამოყალიბება.

6) ტურიზმის განვითარების სამეცნიერო-კვლევითი უზრუნველყოფა. რეკომენდებულია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება: მეცნიერული კვლევების წარმოება, პროგრამებისა და ღონისძიებათა კომპლექსის დამუშავება ტურიზმის სპეციალიზებული სახეობების (განსაკუთრებით სოციალური), აგრეთვე, ტურისტული საქმიანობის დივერსიფიკაციის ეფექტიანი მიმართულებების განვითარების კუთხით; კვლევების ჩატარება რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესწავლის მიზნით; ტურისტული მომსახურების ბაზრის კონიუნქტურის ანალიზი და პროგნოზი რეგიონის შიგნით და გარეთ, შემდგომი დამუშავებებით ტურიზმის ობიექტებისა და ზონების განვითარებისა და განლაგების შესახებ; სარეკლამო და საინფორმაციო საქმიანობის განხორციელების ეფექტიანი ფორმებისა და მეთოდების განსაზღვრა.

პროგრამის რეალიზაციის მიზნით შესაძლებელია მოზიდულ იქნას ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური (მანქანები და მოწყობილობები, მასალები, ნედლეული, სათბობი) და შრომითი (სამუშაო ძალა, კვალიფიციური კადრები) რესურსები.

პროგრამის რეალიზაციის მექანიზმი ითვალისწინებს ეკონომიკური პოლიტიკის ბერკეტების გამოყენებას, როგორიცაა: ფულად-საკრედიტო მექანიზმი, სახელმწიფო საკონტრაქტო სისტემა და საგადასახადო კანონმდებლობა, რომელნიც უზრუნველყოფენ ინვესტიციური აქტიურობის ზრდას ტურიზმის სფეროში, რეგიონული ტურპროდუქტის ხარისხსა და საბოლოო ჯამში მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას შიდა და საგარეო ბაზარზე. პროგრამის ამ განყოფილებაში უნდა მიეთითოს ღონისძიებათა ყველა შემსრულებელი, რომლებზეც გავრცელდება პირდაპირი და ირიბი შეღავათები (მათ შორის საგადახადო შეღავათები საექსპორტო-საიმპორტო ბაჟის ხაზით, კრედიტები შეღავათიანი პირობებით, მიზნობრივი დოტაციები და სუბსიდიები, საბიუჯეტო ასიგნებანი), აგრეთვე, დასაბუთებული უნდა იქნას ამ შეღავათების მიცემის მიზანშეწონილობა.

ღონისძიებების დასაფინანსებლად დამატებითი არასაბიუჯეტო წყაროების სახით რეკომენდებულია მოზიდულ იქნას სახსრები, შემოსული ტურისტული საქმიანობის ლიცენზირებიდან და ტურისტული მომსახურების სერტიფიცირებიდან.

პროგრამით გათვალისწინებული ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის მიზნით მიზანშეწონილია, პირველ რიგში მოზიდულ იქნას არასაბიუჯეტო სახსრები. ამჟამად, არსებობს რეალური შესაძლებლობა გამოყენებულ იქნას სახელმწიფო ინვესტირების ინსტრუმენტი – სახელმწიფო ბიუჯეტის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი. ამასთან დაკავშირებით უნდა დაინერგოს სახელმწიფო გარანტიების გაცემის ახალი მექანიზმები, რომელნიც ორიენტირებული იქნებიან კომერციულად გამოსყიდვადი (უკუგებითი) საინვესტიციო პროექტებისა და მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამგვარი ინვესტირების განხორციელების ძირითად პრინციპებს უნდა წარმოადგენდეს რეალიზებული პროექტის მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობა,

დაფინანსების მხოლოდ წილობრივი ხასიათი და სახელმწიფო რისკის დივერსიფიცირება კერძო კაპიტალთან, პროექტების კონკურსით შერჩევა, ვადიანობა, გადახდა და საინვესტიციო საჭიროებებზე გამოყოფილი ფინანსური სახსრების დაბრუნებადობა.

ჩვეულებრივ, სახელმწიფოს მხრიდან შემკვეთის როლში შესაძლებელია გამოვიდეს აღმასრულებელი ხელისუფლების ის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ტურისტული დარგის ფუნქციონირებასა და განვითარებაზე რეგიონებში, ან ის დაწესებულება, რომელზეც დელეგირებული იქნება შესაბამისი უფლებამოსილებანი.

სახელმწიფო შემკვეთის მიერ დანიშნული პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შემადგენლობაში სასურველია შეყვანილ იქნან შემკვეთის წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, იმ მსხვილი საწარმოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც იმავდროულად წარმოადგენენ პროგრამის ღონისძიებათა მეთაურ-შემსრულებლებს.

სახელმწიფო შემკვეთი დებს სახელმწიფო კონტრაქტებს (ხელშეკრულებებს), ახორციელებს კონტროლს სამუშაოთა შესრულებაზე.

პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფს, სახელმწიფო შემკვეთთან შეთანხმებით შეუძლია შექმნას სპეციალური ფონდი, რომელიც იქნება დახურული ტიპის სააქციო საზოგადოება, აღჭურვილი ფინანსური აგენტის უფლებამოსილებებით.

რეგიონული ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლამ გვიჩვენა, რომ პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს ტურისტული გაერთიანების ჩამოყალიბება არაკომერციული სტრუქტურის – ასოციაციის ფორმით. მასში უნდა გაერთიანდნენ მმართველობის ორგანოები, ტურისტულ ბიზნესთან დაკავშირებული საწარმოები და ორგანიზაციები, ქალაქმშენებლობისა და ბიუჯეტის წარმომქმნელი საწარმოები, მეწარმეები და მოქალაქეები, რომლებიც გააერთიანებენ ძალისხმევას ერთი მიზნით – რეგიონის ეკონომიკური განვითარება ერთიანი რეგიონული ტურისტული კომპლექსის ჩამოყალიბებისა და ტურისტული ინდუსტრიის განვითარების გზით.“

ტურიზმის მასშტაბი, უმეტესწილად სცილდება ერთი მუნიციპალიტეტის საზღვრებს. ამდენად, საკუთარი ტურისტული პროდუქტის შექმნისა და მისი ბაზარზე გატანის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია რეგიონული ადმინისტრაციებისა და თვითმმართველობების საქმიანობის კოორდინაცია. მუნიციპალური ერთეულების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებელია მიღწეულ იქნას სხვადასხვა სახის რესურსების სინდიცირებით (გაერთიანებით) ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის (იმთ) საფუძველზე.

მოთხოვნილება იმთ-ზე წარმოიშობა შემდეგ გარემოებებში:

- საკუთარი რესურსების დეფიციტი მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემათა კომპლექსის გადასაწყვეტად;
- მომიჯნავე მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე „გამჭოლი“ ობიექტებისა და პროექტების არსებობა;
- რიგი მუნიციპალიტეტების ინტერესთა სფეროში შემავალი მსხვილი ინფრასტრუქტურული საინვესტიციო პროექტების შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობა;
- რესურსების ეკონომიის საჭიროება (ერთი მიმართულებით დაბანდებული რესურსების ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობა და რესურსების გამოთავისუფლება სხვა მიმართულებით გამოსაყენებლად);
- თვითმმართველ ერთეულებში მოქმედ საწარმოთა ინტერესი ინტეგრაციულ თანამშრომლობაზე;
- თვითმმართველი ერთეულების მცდელობა ნიველირებულ (განეიტრალება) იქნას მათ შორის არსებული გარკვეული უთანხმოებები საერთო ინტერესების გამოვლენისა და რეალიზაციის გზით;
- თვითმმართველი ერთეულების ურთიერთმხარდაჭერის ინტერესი მათი უფლებების შელახვის, აგრეთვე, საკანონმდებლო ინიციატივების რეალიზების დროს;

- საინფორმაციო მოთხოვნები სამეცნიერო-საკონსულტაციო, იურიდიული უზრუნველყოფის, მუნიციპალური კადრების მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ხაზით.

მუნიციპალიტეტები განიცდიან ფინანსური რესურსების უკმარისობას. დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებს შორის მაშინაა პოპულარული, როდესაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები გასცემენ მიზნობრივ გრანტებს გარკვეულ მომსახურებათა განვითარებისათვის. ზოგიერთ ქვეყანაში მხარდაჭერა ხორციელდება საზღვარგარეთელი დონორების მიერ. ამგვარი პროექტები წარმოადგენენ ნიმუშებს და ხელს უწყობენ კონკურენციის განვითარებას მუნიციპალიტეტებს შორის. თუ ცენტრალურ ხელისუფლებას არ გააჩნია სახსრები და სურვილი არსებული ინიციატივების მხარდასაჭერად, რაიმე წინსვლას იმთ-ის სფეროში არ უნდა ველოდოთ.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, არასაკმარისი საკადრო რესურსის შესახებ, განსაკუთრებით პატარა მუნიციპალურ თემებში, რაც წარმოადგენს იმთ-ის დანერგვის სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორს. გადასაწყვეტია საკითხი იმთ-ის ორგანიზაციის მართვის შესახებ.

აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე განხორციელდეს მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის ფორმები და ერთობლივი სტრუქტურების ფუნქციონირების მარეგლამენტირებელი პროცედურები. როგორც სხვა ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, იკვეთება თანამშრომლობის შემდეგი ძირითადი ფორმები:

- შეთანხმებებისა და კონტრაქტების დადება ერთობლივი საქმიანობისა და თანამშრომლობის შესახებ („სამეურნეო“ თანამშრომლობა);
- ინტერმუნიციპალური ორგანიზაციების ჩამოყალიბება (სახელშეკრულებო თანამშრომლობა);
- გაერთიანებებისა და საბჭოების შექმნა (ასოციური თანამშრომლობა).

აუცილებლად მიგვაჩნია შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო ბაზა მთიან რეგიონებში ტურიზმის განვითარებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა განსახორციელებლად. მას უნდა ჰქონდეს სისტემური ხასიათი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია რეგიონების (დასახლებების) სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციისა და ტურიზმის განვითარების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება.

ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. მთიან რეგიონებში სამამულო და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება და ეფექტიანად გამოყენება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უპირველეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება რეგიონის საინვესტიციო პასპორტის შედგენას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ. ხმალაძე, ლ. ბერიძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. „გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები. V სერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, II ნაწილი, თბ., 2021. გვ. 255-258.
2. მთიანი რეგიონების ტურისტული პოტენციალის ამოქმედების გზები. მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენცია – „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი“. მასალების კრებული. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი. ბათუმი, 2014.
3. კ. ხმალაძე, ლ. ბერიძე. ტურიზმის განვითარების რეგიონული პროგრამის შედგენის მექანიზმი და სტრუქტურა. `ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი.~ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. გამომცემლობა `უნივერსალი~, თბილისი, 2010
4. Обзор факторов, препятствующих межмуниципальному сотрудничеству в странах восточного партнерства. Страсбург, 2015. 152 стр.